სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდა ერთი წლის ოცდაშვიდ დეკემბერს ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს მარიამ კვეზერელი-დავითაშვილის სანოტარო ბიუროში მდებარე, ქ. თბილისი, ავლაბრის ქ. #8ა, გამოცხადდა მოქ. **შოთა კეზეროტი** (დაბ. 21.07.1975წ., თბილისში. რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გორგასალის ქ. #39ა, ბ.15. პირ. #01015005636) და განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს **შოთა ჯოჯუას**. **შოთა კეზეროტის** პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ასევე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის პროექტი, წავუკითხე და განვუმარტე მისი სამართლებრივი შედეგები. აგრეთვე განვუმარტე, რომ მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა მინდობილობა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდა ერთი წლის ოცდაშვიდ დეკემბერს მე, **შოთა კეზეროტი** უფლებამოსილებას ვანიჭებ შოთა **ჯოჯუას** (დაბ.05.06.1991წ., რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ელ. ახვლედიანის ხევი N 6. პირ. #01005031190) მასზედ, რომ მან წარმოადგინოს ჩემი ინტერესები სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქუჩა N 20 (ს/კ 01.17.01.059.011)** დემონტაჟთან დაკავშირებით. მიიღოს დემონტაჟის ნებართვა, ასევე, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, შეათანხმოს პროექტი, ამასთან დაკავშირებით მიიღოს, ჩააბაროს და გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, ცნობა, ინფორმაცია, დაწეროს განცხადება. ჩემს მაგივრად მოაწეროს ხელი საჭირო დოკუმენტაციას, გადაიხადოს საჭირო მოსაკრებელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2024 წლის ოცდაშვიდი დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი იწახება ნოტარიუს მარიამ კვეზერელი - დავითაშვილის სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: 10 (ათი) ლარი + 2 (ორი) ლარი, სულ: 12 (თორმეტი) ლარი, (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, 2011 წლის 29 დეკემბერი) 31-ე, 39-ე მუხლ.

ნოტარიუსი:

მარიამ კვეზერელი – დავითაშვილი